საქართველოს მთავრობის განკარგულება

№990 2013 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №407 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის N407 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები:

1. განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წყალტუბო–ხონის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის – 4 270 300 (ოთხი მილიონ ორასსამოცდაათი ათას სამასი) ლარი;“;

2. განკარგულების პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 7674 „31“ 07 2013 წ.
2 ფურცელი

,,თ) ამ პუნქტის „ა“–„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ობიექტების საზედამხედველო მომსახურების ხარჯებისათვის – 245 950 (ორასორმოცდახუთი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი